აბაშის მუნიციპალიტეტის

ნორიოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. საბოკუჩაოს

დასახლების საერთო კრების

ოქმი №3

აბაშა 2022 წლის 14 მარტი

2022 წლის 14 მარტს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 85^4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №5 დადგენილების „აბაშის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ" მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების "1-ლი მუხლის მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის ნორიოს ადმინისტრაციულ ერთეულში, აბაშის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 24 თებერვლის № ბ10.10220556 ბრძანების საფუძველზე, ჩატარდა ნორიოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. საბოკუჩაოს დასახლების საერთო კრება (№63.17 საარჩევნო უბნის საზღვრებში). N63 აბაშის საარჩევნო ოლქის (30/09/2021) მონაცემებით საბოკუჩაოს დასახლებაში რეგისტრირებულია 211 ამომრჩეველი. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №5 დადგენილების „აბაშის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ" მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დასახლების ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩეველთა არანაკლებ 20%-ისა ანუ 42 რეგისტრირებული ამომრჩეველი. სხდომას ესწრებოდა 45 დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩეველი.

კრებას თავმჯდომარეობდა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დიმიტრი ცანავა, მდივანი საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ზურაბ მხეიძე. კრებას ესწრებოდნენ მერის მოადგილე გიგა ჯვარელია, ურბანული განვითარების განყოფილების უფროსი მირზა

ქვილითაია, მუნიციპალური ინსპექციის განყოფილების უფროსი გია კუცია, მუნიციპალური ქონებისა და ადგილობრივი მოსაკრებლის განყოფილების უფროსი დათო თოფურია.

დღის წესრიგი:

1. სოფ. საბოკუჩაოში არსებული სტადიონის შენობის რეაბილიტაცია.

კრება გახსნა და დამსწრეთ შესავალი სიტყვით მიმართა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა დიმიტრი ცანავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად და საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალების მიზნით კანონმდებლობიდან გამომდინარე ტარდება დასახლებების საერთო კრებები და კონსულტაციები, ასევე სიტყვით გამოვიდნენ მერის მოადგილე გიგა ჯვარელია და ურბანული განვითარების განყოფილების უფროსი მირზა ქვილითაია, მათ. ისაუბრეს ასევე საერთო კრების საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და მიზნებზე.

განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის,'' ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები პრიორიტეტის მიხედვით

მოისმინეს:

1. სოფ. საბოკუჩაოში არსებული სტადიონის შენობის რეაბილიტაცია.

/მომხს. მ. ქვილითაია/

მომხსენებელმა ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე.

საერთო კრების მიერ მხარდაჭერილ და მოწონებულ იქნა წარმოდგენილი პროექტები.

კენჭისყრის შედეგები:

დამსწრე – 45 ამომრჩეველი.

მომხრე – 45

წინააღმდეგი – 0

გადაწყვიტეს.

1. სოფ. საბოკუჩაოში არსებული სტადიონის შენობის რეაბილიტაცია.

(მხარდაჭერა დადასტურებულ იქნა შესაბამისი ხელმოწერებით, ოქმს თან ერთვის).

დასახლების საერთო კრების თავმჯდომარე: ცანავა

დასახლების საერთო კრების მდივანი: ზ. მხეიძე